



დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება



განკარგულება:გ-109. 109242121

თარიღი:30/07/2024

დმანისის მუნიციპალიტეტის მოქალაქეთა მონაწილეობის 2024-2025 წლების
სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 19 ივლისის № 108-1082420145 წერილის გათვალისწინებით, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დამტკიცდეს:

ა) დმანისის მუნიციპალიტეტის მოქალაქეთა მონაწილეობის 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის შესავალი დანართი №1-ის შესაბამისად.

ბ) დმანისის მუნიციპალიტეტის მოქალაქეთა მონაწილეობის სამოქმედო გეგმა (2024-2025 წლები) დანართი №2-ის შესაბამისად.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.


3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი, სულხან საბას ქუჩა N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





დმანისის მუნიციპალიტეტის მოქალაქეთა მონაწილეობის
სამოქმედო გეგმა
2024-2025 წლები

წინამდებარე სამოქმედო გეგმა შემუშავდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის ფარგლებში. დოკუმენტი მომზადებულია დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტთან თანამშრომლობით.

2024 წელი

შესავალი

ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა მონაწილეობის ხარისხის გასაზრდელად, დმანისის მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა **მოქალაქეთა მონაწილეობის სამოქმედო გეგმა 2024-2025**.

სამოქმედო გეგმის მიზანია ხელი შეუწყოს ადგილობრივი ხელისუფლების ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ხარისხის ზრდას და კარგი მმართველობის პრინციპების დანერგვას მოქალაქეთა მონაწილეობის ხარისხის გაუმჯობესებითა და ადგილობრივ საჭიროებებზე მორგებული პოლიტიკის განხორციელებით.

მოქალაქეთა მონაწილეობა ერთ-ერთი პრიორიტეტულ საკითხად არის აღიარებული რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ მიღებული დეცენტრალიზაციის სტრატეგიის 2020-2025 დოკუმენტში.

დმანისის მუნიციპალიტეტი სხვადასხვა ნორმატიული აქტით მხარს უჭერს მონაწილეობითი მიდგომების დანერგვა-გაუმჯობესებას ადგილობრივ დონეზე. აღსანიშნავია, რომ 2024 წლის ბიუჯეტში ცალკე პროგრამის სახით გამოიყო მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერი პროგრამა, რაც ახალი პრაქტიკაა მუნიციპალიტეტისთვის.

მუნიციპალიტეტის მიერ 2023 წელს განხორციელდა ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა მონაწილეობის ხარისხის თვითშეფასება. იგი კომპლექსურია და გულისხმობს მუნიციპალიტეტის მიერ თვითშეფასებას ელექტრონული კითხვარის საშუალებით (www.ppmeter.ge), ასევე დაინტერესებული მხარეების შეფასებას ფოკუს ჯგუფის საშუალებით. აღნიშნული პროცესის შედეგად ვლინდება მუნიციპალიტეტში მონაწილეობითი პროცესების ეფექტურობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხი. თვითშეფასების ფარგლებში ჩატარებულ ფოკუს-ჯგუფში მონაწილეობა მიიღეს დაინტერესებულმა მხარემ (მათ შორის: სამოქალაქო საზოგადოების/სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, აქტივისტებმა/აქტიურმა მოქალაქეებმა და სათათბირო საბჭოს წევრებმა).

თვითშეფასების შედეგად დადგინდა, რომ მუნიციპალიტეტში მოქალაქეთა მონაწილეობისთვის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით განსაზღვრული სავალდებულო მექანიზმები დანერგილია, თუმცა მათი გამოყენება პასიურია და მოქალაქეთა რეალურ მონაწილეობას ნაკლებად უზრუნველყოფს. დამატებითი მექანიზმები მუნიციპალიტეტში თითქმის არ გვხვდება. ამასთანავე, მნიშვნელოვან გამოწვევად დასახელდა მოქალაქეთა ცნობიერების დონე და მათი ინფორმირებულობის დაბალი ხარისხი. გარდა ამისა, აუცილებელ საკითხად გამოვლინდა საჯარო მოხელეთა გაძლიერება მოქალაქეთა მონაწილეობის მიმართულებით.

აღნიშნულ გამოწვევებზე საპასუხოდ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების მიერ, პარტნიორების მხარდაჭერით შემუშავდა მოქალაქეთა მონაწილეობის სამოქმედო გეგმა.

სამოქმედო გეგმის სტრუქტურის მიმოხილვა

სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია 5 ამოცანა და შესაბამისი ქვე-აქტივობები, განმახორციელებელი უწყებები, შედეგების შეფასების ინდიკატორები, დადასტურების წყაროები და აქტივობების ბიუჯეტი.

ამოცანა 1: მუნიციპალიტეტის გამჭვირვალობის ხარისხის გაუმჯობესება (საჯარო ინფორმაციის მომზადებისა და გამოქვეყნების პროცესის გაუმჯობესება; LSG ინდექსის სტანდარტების გაანალიზება და გამოწვევების იდენტიფიცირება);

ამოცანა 2: მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმების გაუმჯობესება (საკრებულოს გასვლითი სხდომების, ელექტრონული პეტიციის და უკუკავშირის მექანიზმების დანერგვა; მოსახლეობის გამოკითხვა სოციალური ქსელის/ვებ-გვერდის საშუალებით; სათათბირო საბჭოების შესახებ ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება; მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის დანერგვა; საშუალო ვადიანი სტრატეგიის შემუშავებისას საკონსულტაციო პროცესის წარმართვის ინსტრუქციის შემუშავება);

ამოცანა 3: მოქალაქეთა ცნობიერების და მოტივაციის ამაღლება (მუნიციპალიტეტისა და მოქალაქეების თანამშრომლობის წარმატებული მაგალითების გაშუქება; იდეების კონკურსის დანერგვა ქალების/ახალგაზრდების წახალისების მიზნით; ახალგაზრდების წახალისება; ვიდეო რგოლების მომზადება ცნობიერების ასამაღლებლად; აქტიური მოქალაქეების დაჯილდოება; ბიუჯეტის გამარტივებული გზამკვლევის შემუშავება; მოსახლეობასთან საინფორმაციო შეხვედრების გამართვა);

ამოცანა 4: მუნიციპალიტეტში ანგარიშგების პრაქტიკის გაუმჯობესება (მერის და საკრებულოს წევრების ანგარიშის მომზადებისა და ანგარიშების საჯარო განხილვების პროცესის გაუმჯობესება);

ამოცანა 5: მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერის მიმართულებით საჯარო მოხელეთა შესაძლებლობების გაძლიერება (მონაწილეობითი პროცესების მხარდაჭერი მოხელეების შიდა წახალისების მექანიზმის პრაქტიკაში დანერგვა; მონაწილეობის შესახებ კარგი პრაქტიკების გაზიარება საჯარო მოხელეებს შორის).

სამოქმედო გეგმის მონიტორინგი

მოქალაქეთა მონაწილეობის სამოქმედო გეგმის მონიტორინგი განხორციელდება 6 თვეში ერთხელ, რაც გულისხმობს გაწერილი საქმიანობების განხორციელების, აქტივობების და პროექტების შესრულების მეთვალყურეობას, დროულად ხარვეზების, შეფერხებისა თუ წარმატების შემთხვევების გამოვლენის მიზნით. მონიტორინგს განხორციელებს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამსახური.

მონიტორინგის მონაცემების რეგულარული გაანალიზება მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს საშუალებას მისცემს საჭიროების შემთხვევაში შეიტანონ შესაბამისი პროგრამული ცვლილებები სამოქმედო გეგმის საერთო განხორციელებისა და მიზნის მიღწევის პროცესის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად.

1.2	1.2.1 გუნდის ფორმირება 1.2.2 სტანდარტების გაანალიზება 1.2.3 რეკომენდაციების შემუშავება 1.2.4 რეკომენდაციების განხორციელება	A1.2	შემუშავებული რეკომენდაციების 50% განხორციელებულია	რეკომენდაციები დოკუმენტი; ვებ-გვერდი	სამსახური; საკრებულოს აპარატი	2024-2025	საჭიროების დამატებითი ხარჯს								
ამოცანა 2-ის აქტივობები		აქტივობის შედეგის ინდიკატორი		დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ვადა	ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო							
								მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	სხვა	ფინანსური					
2.1	საკრებულოს გასული წლის მუშაობის დანერგვა 2.1.1 გასული წლის მუშაობის ორგანიზება 2.1.2 ანონის გამოქვეყნება 2.1.3 სხდომის გამართვა 2.1.4 სხდომის ოქმისა და დამატებითი ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნება	A2.1	წელიწადში მინიმუმ 1 გასული წლის სხდომა	ვებ-გვერდი; სოციალური ქსელი; სხდომის ოქმი;	საკრებულოს აპარატი	2024-2025	არ საჭიროების დამატებითი ხარჯს								
2.2	ელექტრონული პეტიციის შექმნის დანერგვა/პოპულარიზაცია 2.2.1 სხვა მუნიციპალიტეტების გამოცდილების გაზიარება 2.2.2 ვებ-გვერდის ტექნიკური დახმობა 2.2.3 ელ პეტიციის ფუნქციონირება 2.2.4 შექმნილი შესაბამის ინფორმაციის გავრცელება	A2.2	მუნიციპალიტეტში ელ. პეტიციის შესაძლებლობა	ვებ-გვერდი; საკრებულოს რეგლამენტი;	საკრებულოს აპარატი	2024	არ საჭიროების დამატებითი ხარჯს								
2.3	უკავშირის შექმნის დანერგვა 2.3.1 კარგი პრაქტიკის გადმოცემა 2.3.2 საკითხის გამოყოფა 2.3.3 უკავშირის ინსტრუმენტების შემუშავება და დანერგვა 2.3.4 მოკლე ანგარიშის მოწოდება	A2.3	უკავშირის შექმნის გამოცემა მინიმუმ 2 საკითხზე	ანგარიშის დოკუმენტი	ადმინისტრაციული სამსახური	2024-2025	არ საჭიროების დამატებითი ხარჯს								
2.4	გამოყოფის სოციალური ქსელის/ვებ-გვერდის საშუალებით 2.4.1 საშუალო ვიდეოს შექმნა (PR-ის, ვებგვერდისა და თემური მინარეთების თანამშრომლების ჩართულობით) 2.4.2 საშუალო ვიდეოს წყაროს შესაძლებლობების ანალიზი 2.4.3 თემური კითხვარის შემუშავება (საჭიროების კვლევა/კმაყოფილების კვლევა/უკავშირის მისაძლავების ინტერვიუს კვლევა რეგულარული ინფორმაციის გამოქვეყნებასთან მიმართებით) 2.4.4 მონაცემთა შეგროვება და ანალიზი 2.4.5 შედეგების გამოქვეყნება	A2.4	წელიწადში მინიმუმ 1 გამოყოფა	ვებ-გვერდი და სოციალური ქსელი	ადმინისტრაციული სამსახური; საკრებულოს აპარატი	2024-2025	3000 ლარი პროგრამული კოდი 01 01 02								
2.5	სათათბირო საბჭოების შესაბამის ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება 2.5.1 მრჩეველთა საბჭოების (შერის მრჩეველთა საბჭო, გენდერული საბჭო, ახალგაზრდული,) საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოწოდება და გავრცელება 2.5.2 მრჩეველთა საბჭოების (შერის მრჩეველთა საბჭო, გენდერული საბჭო, ახალგაზრდული) სხდომების შესახებ ანონსების გამოქვეყნება 2.5.3 საბჭოების (საშუალო დოკუმენტების) მართლმართლებების შემუშავება 2.5.4 მრჩეველთა საბჭოების (შერის მრჩეველთა საბჭო, გენდერული საბჭო, ახალგაზრდული საბჭო) მიერ რეკომენდაციებისა და ანგარიშების შემუშავება და გამოქვეყნება	A2.5	სათათბირო საბჭოების ყველა სხდომის ანონსის გამოქვეყნება; სათათბირო საბჭოების ყველა სხდომის ოქმის გამოქვეყნება; სათათბირო საბჭოების შემუშავებული ყველა რეკომენდაციის გამოქვეყნება; სათათბირო საბჭოების ანგარიშების გამოქვეყნება ყოველწლიურად	ვებ-გვერდი და სოციალური ქსელი	საბჭოს შესაბამისი მართლმართლები სამსახური; საკრებულოს აპარატი	2024-2025	არ საჭიროების დამატებითი ხარჯს								
მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის დანერგვა				ბიუჯეტის	ადმინისტრაციული		3000 ლარი								

2.6	2.6.1 საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება 2.6.2 წესის შემუშავება და დამტკიცება 2.6.3 მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის დანერგვა	A2.6	სამხელადად ბიუჯეტის პროგრამა დანერგულია	დოკუმენტი; მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდი	ასოციაციური; საფინანსო საბიუჯეტო სამსახური	2024-2025	პროგრამული კოდი 01 01 02								
2.7	საშუალო ვიდეოს სტრატეგიის შემუშავებისას საკონსულტაციო პროცესის წარმართვის ინსტრუქციის შემუშავება 2.7.1 საკონსულტაციო პროცესის ეტაპების, სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის განსაზღვრა 2.7.2 საკონსულტაციო პროცესის წარმართვის ინსტრუქციის დოკუმენტის მოწოდება, მიღება და დანერგვა	A2.7	საკონსულტაციო პროცესის წარმართვის ინსტრუქციის დოკუმენტი	მუნიციპალიტეტის საშუალო დოკუმენტები	ადმინისტრაციული სამსახური;	2024	არ საჭიროების დამატებითი ხარჯს								
ამოცანა 3-ის აქტივობები		აქტივობის შედეგის ინდიკატორი		დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ვადა	ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო							
								მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	სხვა	ფინანსური					
3.1	მუნიციპალიტეტისა და მოქალაქეების თანამშრომლობის წარმატებული მაგალითების გამოქვეყნება 3.1.1 წარმატებული შემთხვევების გამოვლენა 3.1.2 ინფორმაციის მოწოდება მარტივ ენაზე 3.1.3 ინფორმაციის გავრცელება სხვადასხვა წყაროთი: ვებ-გვერდი, სოციალური მედია, ვებ-გვერდი;	A3.1	წელიწადში 2 წარმატებული მაგალითი	ვებ-გვერდი; სოციალური ქსელი, გაზეთი	ადმინისტრაციული სამსახური	2024-2025	არ საჭიროების დამატებითი ხარჯს								
3.2	იდეების კონკურსის დანერგვა ქალების/ახალგაზრდების წახალისების მიზნით 3.2.1 კონკურსის ჩატარება 3.2.2 გამარჯვებულების გამოვლენა	A3.2	ერთი იდეების კონკურსი წელიწადში	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიში	სოციალური სამსახური/ანალიტიკის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური	2024-2025	20 000 ლარი პროგრამული კოდი 06 02 09								
3.3	ახალგაზრდების წახალისება 3.3.1 ახალგაზრდებისთვის დია კარის დღის და სტაჟირების შესაძლებლობის შეთავაზება 3.3.2 ახალგაზრდებისთვის სინოლაიფური თამაშების და საკრებულოს ინტერაქტიული სხდომის ორგანიზება 3.3.3 ცნობიერების ამაღლებლად ფლუმინის და პერლორინის მოწყობა ახალგაზრდების მონაწილეობით 3.3.4 ინფორმაციის გავრცელება მონაწილე ახალგაზრდების მიერ კარდგარ-ის პრინციპით	A3.3	ახალგაზრდების ყოველწლიურ წახალისებულ აქტივობებში მონაწილეობის 50 ახალგაზრდა (მათ შორის ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები)	მონაწილეთა სიები	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური	2024-2025	2000 ლარი პროგრამული კოდი 01 01 02								
3.4	ვიდეო რეკლამების მოწოდება და გავრცელება ცნობიერების ამაღლებლად 3.4.1 ვიდეო რეკლამებისთვის თემური განსაზღვრა 3.4.2 ვიდეო რეკლამების გადაღება 3.4.3 ვიდეო რეკლამების გავრცელება სოციალურ ქსელებში	A3.4	1 ვიდეო რეკლამი წელიწადში	სოციალური ქსელი; ვებ-გვერდი;	ადმინისტრაციული სამსახური	2024-2025	არ საჭიროების დამატებითი ხარჯს								
3.5	აქტიური ახალგაზრდების/მოქალაქეების კრიტიკულობის შემუშავება 3.5.1 აქტიური ახალგაზრდების/მოქალაქეების კრიტიკულობის შემუშავება 3.5.2 საკონსულტაციო კომისიის დამოუკიდებელი მუნიციპალიტეტისა და საზოგადოების წარმომადგენლების მიერ 3.5.3 გამარჯვებულების გამოვლენა და დაკომპლემენტაცია	A3.5	წელიწადში ერთი კონკურსი	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიში; სოციალური ქსელი;	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური/ადმინისტრაციული სამსახური	2024-2025	არ საჭიროების დამატებითი ხარჯს								

